



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იბნ ალ-ადიმი

იბნ ალ-ადიმი, ქემალ ალ-დინ აბუ ლ-კასიმ (1192, ჰალაბი,-1262, კაირო), არაბი ისტორიკოსი, ცნობილი საგვარეულოს წარმომადგენელი.

ავტორია მრავალი თხზულებისა, რ-თაგან მნიშვნელოვანია ჰალაბის ისტორია ძველი დროიდან 1243-მდე - „ნაღები რძისა ჰალაბის ისტორიაში“ („ზუბდათ ალ-ჰალაბ ფითა რის ჰალაბ“). ნაშრომში არის საინტერესო ცნობები ქართველებისა და საქართველოს შესახებ. ი. ა. მოგვითხრობს მანციკერტის ბრძოლაში (1071) ქართველთა მონაწილეობაზე, იძლევა დიდგორის ბრძოლის (1121) ახალ ვერსიას, ეხება XIII ს. დასასწყისში საქართველო-აიუბიდთა ურთიერთობებს.

ლიტ.: კ უ ტ ა ლ ი ა გ., ქემალ ალ-დინის ცნობა დიდგორის ბრძოლის შესახებ, «საქართველოს მეცნ. აკადემიის მოამბე», 1974, ტ. 74, N2.

გ. ჯაფარიძე
